1894 წელსა, № 3 14 თებერვალს

მწყემსი

ოფიციალური გაზეთი.

განჩინება უწმ. სინოდისა.

უწმიდესმა სინოდმა, დაინახა რა მასში წარმოდგენილ საქმეებისაგან, რომ ზოგიერთი მონასტრები აგზავნიან დაბეჭდილ განცხადებას, რომლებშიაც მოხსენებულია მიცვალებულთა მოსახსენებელი ნიხრი და სცნობს-რა, რომ ამისთანა საშუალება მონასტრის შემოსავალთა მოსაპოვებლად უკანონო და დამამცირებელია კეთილმსახურ ქრისტიანეთა პატივისცემისა წმიდა მონასტრებისადმი, საჭიროდ რაცხს გამოაცხადოს სასულიერო უწყების საყურადღებოდ, საეკლესიო უწყებებში დაბეჭდით, რომ შემდეგისათვის მონასტრების წინამძღვრებმა არ დაბეჭდონ ასეთი მოწოდება მონასტრების სასარგებლოდ შეწირულებათა შესახებ, რომელშიაც ნაჩვენები იქნეს მიცვალებულთა მოსახსენებელი ნიხრი, წინააღმდეგ შემთხვევაში, ამ განკარგულების აღუსრულებლობისათვის, დამნაშავენი მიეცემიან პასუხისგებაში.

ანგარიში

საქართველოს მეფის წმიდა დავით აღმაშენებელის სახელზე დაარსებული ძმობისა ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის ღარიბ მოწაფეთა დასახმარებლად 1893 წ.

დღეს, როცა საქართველოს მართლ-მადიდებელი ეკლესია დღესასწაულობს საქართველოს მეფის წმ. **დავით მე-3 აღმაშენებელის** ხსენებას, შესრულდა მეორე წელიწადი, რაც აქ ზეციური მფარველის სახელობაზე დაარსებულია ძ მ ო ბ ა ქუთაისის სასულ. სასწავლებელთან ამ სასწავლებლის ღარიბ მოწაფეთა დასახმარებლად, მისი მაღალ ყოველად უსამღვდელოესობის იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელის შუამდგომლობით და საქართველოს ექსარხოსად ყოფილის, ხოლო დღეს პეტერბურგის და ლადოგის მიტროპოლიტის, მისი მაღალ ყოველად უსამღვდელოესობის პალლადის ლოცვა-კურთხევითა.

ამ საანგარიშო წელში ძმობის კასაში შემოვიდა სულ 1047 მ. 77 კ. ამ ჯამს შეადგენს: 1) 796 მ. 77 კ., რომელიც შემოვიდა 1892 წელს გვირგვინაკების და შენდობის ფურცლების ვასყიდვისაგან, რომელიც მიემატა ამ საანგარიშო წელში ძმობის თანხას, თანახმად სასწავლებლის წესდების 22 § მისი ყოველად უსამღვდელოესობის, იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელის ნება დართვით (ქურ. 18 აპრ. 1893 წ.); 2) იმერეთის ეპარქიის საბლალოჩინო მაზრებიდგან: კულაშისაგან 70 მ. და ჩხარისაგან 25 მ. 3) მღვდლის დარისპან ბარათაშვილისაგან 10 მ., იმერეთის ეპარქიალური კანცელარიის მდივნის ერასტი თუთბერიძისაგან 6 მ., სასწავლებლის ექიმის მიხეილ ძნელაძისაგან 6 მ., სასწავლებლის საპატიო მზრუნველის მიხეილ შნეიდერისაგან 5 მ., სასწავლებლის ზედამხედველის ალექსანდრე იაროსლავისაგან 5 მ., დეკანოზების გაბრიელ ცაგარეიშვილის და რაქდენ გიგაუროვისაგან სამ-სამი მ., ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის მასწავლებლის ანტონ ილიენკოსაგან 3 მან., ამავე გიმნაზიის კლასის მასწავლებლის თანაშემწის ალექსანდრე მიტლიარსკისაგან 3 მ., ქუთ. სასულიერო სასწავლებლის მასწავლებლებისაგან: დავით ჩიმაკაძისაგან 3 მ., მღვდლის მელიტონ ცაგარეიშვილისაგან 3 მ., მიხეილ კვალიევისაგან 3 მ., ილ. მატარაძისაგან 3 მ., ვასილი ვასილიევისაგან 3 მ., ნიკოლოზ მაღრაძისაგან 3 მ., ანთიმოზ გორგაძისაგან 3 მ., ივანე გეორგაძისაგან 3 მ., მიტრაფონე ფხაკაძისაგან 3 მ., იოსებ სანებლიძისაგან 3 მანეთი, ქრისტეფორე ულრელიძისაგან 2 მ., დავით დათოშვილისაგან 1 მ., ესტატე ღამბაშიძისაგან 1 მანეთი, კორნელი მაღრაძისაგან 1 მ., და სასწავლებლის

ალმზრდელის გერმანე ჯაჯანიძისაგან 1 მ., მღვდლის თომა დუგლაძისაგან 3 მ., მღვდლის ლუკა მაღრაძისაგან 3 მ., მღვდლის იოსებ ჭირაქაძისაგან 1 მ., საეკლესიო-სამრევლო სკოლების მასწავლებლებისაგან: მიხეილ ზუბატაშვილისაგან 1 მ., ბესარიონ ვაშაძისაგან 1 მ., ტრიფონ სანებლიძისაგან 1 მანეთი, ბესარიონ ციცქიშვილისაგან 1 მ., ვასილი არევაძისაგან 2 მ., და სასწავლებლის ზედამხედველის თანაშემწის ივანე გაფრინდაშვილისაგან 3 მ. და 4) 60 მ. შემოვიდა მოგება სასწავლებლის საპატიო მზრუნველის მიხეილ შნეიდერისაგან ძმობისადმი შემოწირული სხვა და სხვა სასწავლო ნივთების და სახელდობრ რვეულების, საწერი ქაღალდის, საწერლების, ყარანდაშების, კალმების და ტარების გასყიდვისაგან.

გარდა ამ ფულით შემოწირულებისა ამ საანგარიშო წელში იყო კიდევ სხვა გვარი შემწეობაც ძმობის სასარგებლოდ. 1) დეკანოზმა დავით ლამბაშიძემ არა ერთ გზით დაბეჭდა თავის საკუთარს სტამბაში ძმობის ანგარიშები, მოწოდება სხვა და სხვა პირთადმი, რათა მათ აღმოეჩინათ შემწეობა ძმობისათვის და სხ. და 2) ხრეითის ერთკლასიანი სამრევლო-საეკლესიო სასწავლებლის მასწავლებელმა ბ. საყვარელიძემ შემოსწირა 60 ცალი დაბეჭდილი ბლანკები, რომ ამ ბლანკებზე მისცენ მოწმობა მასწავლებლობის წოდების მაძიებელთ, რომელთაც თავის სურვილისამებრ უნდა შესწირონ ძმობის სასარგებლოდ, რამდენიც სურთ.

ზემოთ აღნიშნული ფულების გარდა ამ საანგარიშო წელში ძმობის განკარგულებაში იყო წარსული წლიდგან დარჩენილი ფული 602 მ. 4 კ., რომელიც ზემოთ აღნიშნულ ფულებთან ერთად შეადგენს 1649 მ. 81 კ.

ყველა იმ პირთაგან, რომელთაც ამ 2 წლის განმავლობაში ფულები შესწირეს ძმობის სასარგებლოდ, თანახმად ძმობის წესდებისა, იწოდებიან: ა) ძმობის საპატიო წევრად და მფარველად მისი ყოვლად უსამღვდელოესობა გაბრიელი, ეპისკოპოსი იმერეთისა; ბ) სამუდამო წევრებად ძმობისა: ქალაქ ქუთაისის ეკკლესიების ბლაღოჩინი მღვდელი ნესტორ ყუბანეიშვილი და საპატიო მზრუნველი ქუთ. სასულიერო სასწავლებლისა მიხეილ ივ. შნეიდერი და 3) ნამდვილ წევრებად ითვლებიან ყველანი, რომელთაც შემოაქვსთ ძმობის სასარგებლოდ ყოველ წლობით არა ნაკლებ სამი მანეთისა, ხოლო დანარჩენნი იწოდებიან თანამგრძნობ წევრებად, ყველა შემწირველ პირთა რიცხვი ასამდეა (ნამდვილი და თანამგრძნობ წევრთა რიცხვი სისწორით არ არის ნაანგარიშევი იმის გამო, რომ ზოგიერთი ბლაღოჩინები, როცა ფულებს ადგენენ ძმობაში, არ აცხადებენ სახელდობ არც იმ პირთ, რომელთაც შესწირეს ფულები ძმობის სასარგებლოდ და არც შეწირულების რაოდენობას).

ამ ზემოთ აღნიშნული ფულებიდგან საანგარიშო წელში დაიხარჯა ღარიბ მოწაფეთა შესაწევნელად 864 მ. 13 კ., და სახელდობ: მიეცათ შემწეობა ფულით: 1) შესანახი ხარჯის გასასტუმრებლად შემდეგ მოწაფეთა: ვლადიმერ კინწურაშვილს 54 მან., კსენაფონტ ხარაიძეს 27 მ., იოსებ წერეთელს 48 მ., კონსტანტინე ჩაჩანიძეს 12 მ., არქიპო ჭუმბურიძეს 24 მ., იოსებ შავგულიძეს 18 მ., გედეონ კანდელაკს 20 მ., ალექსანდრე საყვარელიძეს (თეთრუაშვილს) 45 მ., მინა მესხს 6 მ., ეკოლე კაციტაძეს 9 მ., პორფილე ბოჭორიშვილს 12 მ., ივლ. ჩლაიძეს 15 მ., ალექსანდრე გეორგაძეს 21 მან., კონსტანტინე მაჭარაშვილს 9 მ., ვარლამ მესხს 21 მ., იპოლიტე უკლებას 9 მ., იასონ მხათრიშვილს 9 მ., რაჟდენ არსენიძეს 30 მ., ილია აბაზაძეს 6 მ., ონიფანტე ხარაიძეს 12 მ., სევერიანე შუბლაძეს 8 მ., პარმენ ჩაჩუას 4 მ., 2) სასწავლო ფულების გადასახდელად კონსტანტინე ტყეშელაშვილს 15 მან., და იოსებ მგალობლიშვილს 7 მ. 50 კ., და 3) რამდენიმე ღარიბ მოწაფეთ, რომელთაც კარგად შეასრულეს სწავლა ხსენებულს სასწავლებელში და გაგზავნილ იქმნენ თბილისის სასულიერო სემინარიაში, რომ თბილისში პირველ თვეებში საშუალება ჰქონებოდათ ცხოვრებისა: გიორგი სოხაძეს 40 მანეთი, კორნელი კეკელიძეს 40 მ., ვიქტორ ფანჩულიძეს 30 მ. და ილია ჯინჭველაშვილს 15 მ.; 4) დაიხარჯა მაუდის და ტილოს სასყიდელად, რომ საზაფხულო და საზამთრო ბლუზები, ფეხსაცმელები, საცვლები, ქუდები, წულები, სასწავლო და საწერი ნივთების და ტანსაცმელების შესაკერავად სულ 297 მ. 63 კ. აქედგან მიეცათ საზაფხულო ბლუზები და შალვარი თითო რწყვილი შემდეგ მოწაფეთ: აკეფსინ კანდელაკს, კონსტანტინე შეკლაშვილს, აბესალომ ღვალაძეს, გედეონ კანდელაკს, სიმონ ტყემალაძეს, ელევთერ ღვალაძეს, კონდრატი ნინიკაშვილს, პანტ. ჩიკვინიძეს, ერასტი კინწურაშვილს, მიხეილ გურგენიძეს, დიონისე თუთბერიძეს, რაჟდენ არსენი-

ძეს, ლუკა ტყემალაძეს, ნესტორ გეორგაძეს, კალ. გოგოშაძეს, ლავრენტი სარალიძეს, ბართ. კუხიანიძეს, მელიტონ ჭეიშვილს, გიორგი ჭუმბურიძეს, ბ. ბაკურაძეს, ვარლამ მესხს, ათანასე ჯვარეიშვილს, კონსტანტინე გორგაძეს, სიმონ მერმონიშვილს, გრ. რობაქიძეს, გრიგოლ კელენჯერიძეს, ვიქტორ ლომიძეს, გერასიმ ჭუმბურიძეს, კსენ., ონიფანტე და ანდრია ხარაიძეს; ბ) საზამთრო ბლუზები და შალვარი თითო რწყვილი: მინა მესხს, კირილე ფანცხავას, პარმენ ჩიჩუას, მიტრაფონე მშვენიერაძეს, იულონ ჩლაიძეს, მიხეილ გელეიშვილს, ვლადიმირ მაჭარაშვილს, სიმონ ჯაოშვილს, გრიგოლ რობაქიძეს, რაჟდენ არსენიძეს, ან. კანდელაკს, სერგი ბოჭორიშვილს, ივანე გეორგაძეს, გეორ. ქებულაძეს, იოსებ შავგულიძეს, არქ. ჭუმბურიძეს, დიონისი თუთბერიძეს, გედეონ კანდელაკს, სიმონ მერმონიშვილს, ლუკა ტყემალაძეს, ალექსანდრე შერვაშიძეს, იულ. ჩიმაკაძეს, ვლადიმერ კინწურაშვილს (ქუდი, საცვალი და წულები), ვიქტორ ფანჩულიძეს (ქუდი და წულები), ლავრენტი კროჰს (ქუდი და წულები), გერვ. ჭუმბურიძეს (წულები), ელევთერ ღვალაძეს, ნესტორ გეორგაძეს, პიმენ არაბიძეს, პანტ. ჩიქვინიძეს, ანდრო ღანთაძეს, მინა მესხს, სერგი გაგოშიძეს, ვარლამ ლომიძეს, ივანე კანდელაკს, სერგი ტოგონიძეს, ლუკა ტყემალაძეს, გარ. მშვენიერაძეს, ამეროსი ბებურიშვილს, სეევერიანე ძიმისტარაშვილს, არჩილ კვინიკაძეს, პოლიევკტ ჯვარიშვილს, ალ. ლორთქიფანიძეს, ვალ. შავგულიძეს, ათანასე ჯვარიშვილს, კოსტ. ჭუმბურიძეს, ილია ნუცუბიძეს, იოსებ წერეთელს, ანეპოდისტე ბახტაძეს, ანდრო კეკელიძეს და ივანე ბახტაძეს, და 3) ორი რწყვილი საზამთრო ბლუზი და შალვარი: ვარ. კუხიანიძეს, მელიტონ ჭეიშვილს, კონსტანტინე გეორგაძეს, ვლ. კინწურაშვილს, გიორგი ჭუმბურიძეს, იპოლიტე უკლებას, ეკოლე კაციტაძეს, ვიქტორ ლომიძეს, ვარლამ მესხს, ბაგრატ ბაკურაძეს, სიმონ ტყემალაძეს, სერაფიონ გაბუნიას, პოლიკ. კინწურაშვილს, ილია აბაზაძეს, სიმონ კაციტაძეს, ლონგინ ბებურიშვილს, სეევერიანე კეკელიძეს, გრიგ. კელენჯერიძეს, გერასიმ ჭუმბურიძეს, ლავრენტი სალარიძეს, ევგენი გაბუნიას, ვიქტორ ჭუმბურიძეს, პოლიევკტ და კალისტრატე გაგოშიძეს, კსენ. ხარაიძეს, ერასტი კინწურაშვილს, სეევერიანე შუბლაძეს, კონსტ. შეკლაშვილს, კონსტ. დალაქიშვილს, ალექსანდრე გეორგაძეს, ონიფანტე და ანდრო ხარაიძეს, და დ) მიეცათ სასწაელო და საწერი ნივთები: ვლადიმერ კინწურაშვილს და ილია ნუცუბიძეს.

ზემოთ აღნიშნული სია გვიჩვენებს, რომ ა) მიეცათ შემწეობა ფულით 28 მოწაფეს, სულ 566 მ. 50 კ. და ბ) მიეცათ ტანთსაცმელი, ფეხსაცმელი და სასწაელო ნივთები 114 მოწაფეს, რომელთაგან 32 მოწაფემ მიიღო ორ-ორი რწყვილი ბლუზა და შალვარი; ყველა ამაებზე დახარჯა ძმობის რჩევამ 297 მ. 63 კ. სრულიად ამ საანგარიშო წელში დაიხარჯა 864 მ. 13 კ. ხოლო შემდეგი წლისათვის რჩება ნაღდი ფული 785 მ. 18 კ.

თუ ყოველივე ამაებს მივიღებთ სახეში, ამ საანგარიშო წელში ძმობის მოღვაწეობა ძლიერ ნაყოფიერი იყო როგორც შემოსული შეწირულებით ისე იმ მოწაფეთა რიცხვით, რომელთაც შემწეობა მიეცათ ძმობისაგან, თუ ამასთან იმასაც მივიღებთ სახეში, რომ ზოგიერთ წევრთ ძმობისას ჯერეთ კიდევ არ შემოუტანიათ ხვედრი საწევრო ფული და გარდა ამისა იმერეთის ეპარქიის სამღვდელოების დეპუტატთა მე-XXXI კრებამ უკვე მოსპო ყოველ წლობით დანიშვნა 300 მ. ღარიბ მოწაფეთა დასახმარებლად, ვინაიდგან სასწავლებელში დაარსდა ძმობა. ზემოთ აღნიშნულ შეწირულებათა წყალობით ძმობის რჩევამ, როგორც ეს სჩანს ზემოთ აღნიშნულისგან, 150 მოწაფე შემოსა თუმცა უბრალო, მაგრამ შესაფერი და წმინდა ტანთსაცმელით, ბევრი დაიფარა შიმშილისაგან, დაენიშნა რა მათ ხარჯის ფული და ბევრ მათგანს შემწეობა აღმოუჩინა ძლიერ გასაჭირ დროს. ამგვარ მოწაფეთა გუნდს ეკუთვნიან როგორც ისინი, რომელთათვის ძმობის რჩევამ თავის დადგენილობით

ყოველად სამღვდელო იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელის დამტკიცებით შეიტანა სასწავლო ფული, ისე ისინი განსაკუთრებით, რომელთაც ძმობის შემწეობით შეძლება მიეცათ გაეგრძელებიათ სწავლა ხსენებულს სასწავლებელში სწავლის დამთავრების შემდეგ თბილისის სასულიერო სემინარიაში, რომელთაც მიეცათ ძმობიდგან ფული, რომ პირველ თთვეებში ეცხოვრათ თბილისში. როცა ძმობა დახმარებას უწევდა ღარიბ მოწაფეთა, სახეში ჰქონდა, რომ ამ შემწეობით გაეუმჯობესია მათი საბრალო ცხოვრება, ამავე დროს ამ მოწაფეთ შესაფერი წარმატება გამოეჩინათ სწავლაში.

ძმობის რჩევა, რომელმაც ამდენი შემწეობა აღმოუჩინა სასწავლებლის ღარიბ მოწაფეთა, თავის მოვალეობადა სთვლის გულითადი მადლობა უძღვნას: ა) მის ყოველად უსამღვდელოესობას, იმერეთის ეპისკოპოსს გაბრიელს, როგორც პირველს მფარველს და საპატიო წევრს, რომელიც ყოველთვის მამობრივ მფარველობას უწევს საზოგადოთ ღარიბთ და კერძოდ ამ სასწავლებლის მოწაფეთა. შემდეგ ბ) ძმობის რჩევა თავის წმიდა მოვალეობად რაცხს გულითადი მადლობა გამოუცხადოს სასწავლებლის საპატიო მზრუნველს მიხეილ ივ. შნეიდერს, რომლის შემოწირულება დახმარებას უწევს არა მარტო ღარიბ მოწაფეთა, არამედ ამ სასწავლებლის ყველა მოწაფეებს. პატივცემული მიხეილ ივან. შნეიდერი ღირსია ამ მადლობისა, როგორც ნივთიერი შემწეობისათვის, ისე განსაკუთრებით იმ სამადლო საქმისათვის, რომელიც შეეხება ამ სასწავლებლის მოწაფეებს სარწმუნოებრივ-ზნეობრივის მხრით. მიხეილ შნეიდერმა სწორეთ ამ ჩვენი დღესასწაულობის დროს გაამდიდრა ჩვენი სასწავლებლის წიგნთ-საცავი, რომელსაც შესწირა სარწმუნოებრივ-ზნეობითი შინაარსის წიგნები, რომელნიც დღემდის სასწავლებლის წიგნთ-საცავში არ ყოფილა და ამ შეწირულებაზე დახარჯა 300 მანეთამდე. ამ უხვი შეწირულებით მან ჭეშმარიტად დანერგა ის წმიდა, გონიერი და კეთილი თესლი, რომელიც ჩაინერგება რა ბავშვების უმანკო სულში, შემდეგში შეიქმნებიან იგინი მორჩილი და გამგონე შვილნი მართლ-მადიდებელი ეკკლესიისა, ჭეშმარიტი მოსამსახურე მეფისა და სამშობლოსი, კეთილნი მამანი ოჯახობისა და საზოგადოების სასარგებლო წევრნი. დაბოლოს ძმობის რჩევა თავის გულითად მადლობას სწირავს ძმობის ყველა დანარჩენ წევრთ, რომელთაც თავის შეწირულებით დახმარება აღმოუჩინეს ძმობის რჩევას შემწეობა მიეცა 150 ღარიბი მოწაფისათვის, რომელნიც ამ სასწავლებელში იძენენ სარწმუნოებრივ-ზნეობრივ განათლებას თანახმად წმ. მართლ-მადიდებელი სარწმუნოებისა და ეკკლესიისა. ყველა ამ პირთა შეწირულება უეჭველად გამოიწვევს მოსწავლე ბავშვების გულში უკულითადეს მადლობას მათ კეთილმყოფელთადმი და იგინი მხურვალე გულით შეევედრებიან ზეციერ მამას მათი დღეგრძელობისათვის.

ძმობის რჩევა დარწმუნებულია, რომ მოწყალე კეთილშემწირველნი, რომელნიც თანაუგრძნობენ ძმობის მოქმედებას, შემდეგშიაც არ მოაკლებენ ძმობას თავის დახმარებას და მასთან სხვებსაც წააქეზებენ, რომ დახმარება აღმოუჩინონ ძმობას. განსაკუთრებით დიდი იმედი აქვს ძმობას თქვენი მმ. სულიერნო მწყემსნო, რადგან თქვენი გრძნობით სავსე სიტყვა არას დროს არ დარჩება უყურადღებოდ თქვენ სულიერ შვილთაგან, რომელნიც პატივს გცემენ თქვენ როგორც თავის მახლობელ წინამძღვართ და მლოცველთ ღვთის ტრაპეზის წინაშე.

ძმობის რჩევას შეადგენენ შემდეგნი პირნი, რომელნიც აღრჩეულ იქმნენ, თანახმად ძმობის წესდებისა, საზოგადო კრებისაგან: ძმობის თავსმჯდომარე, ზედამხედველი ქუთაისის სასულიერო სასწავლებლისა, ალ. ან. იაროსლავი, ვიცე-პრეზიდენტი დეკ. ქუთ. მთავარ-ანგელოზის ეკკლესიისა რაჟდენ გიგაურავი, და წევრნი ქუთ. სას. სასწავლებლის მასწავლებელნი: ანთიმოზ გორგაძე და ამბაკო სულაქველიძე, საქმისმწარმოებელი მასწავლებელი ამავე სასწავლებლისა ანდრია ბენაშვილი და ხაზინადარი სასწ. ზედამხედველის თანაშემწე ივანე დავ. გაფრინდაშვილი.

ძმობის რჩევის თავსმჯდომარე ალექ. იაროსლავი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მწყემსი

მე ვარ მწყემსი კეთილი: მწყემსმან კეთილმან სული თვისი დაჰსდვის ცხოვართათვის. (იოან. 10—11).

ვპოვე ცხოვარი ჩემი წარწყმედული. ესრეთ იყოს სიხარული ცათა შინა, ერთისათვის ცოდვილისა. (ლუკ. 15—4).

მოვედით ჩემდა ყოველნი მაშურალნი და ტვირთ-მძიმენი და მე განგისვენო თქვენ. (მათ. 11—28).

№ 3 1883—1894 15 თებერვალი.

შინაარსი: ოფიციალური განყოფილება: განჩინება უწმ. სინოდისა.—ანგარიში საქართველოს მეფის წმ. დავით ალმაშენებელის სახელზე დაარსებული ძმობისა ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის ღარიბ მოწაფეთა დასახმარებლად 1893 წ.
სალიტერატურო განყოფილება: ბ. სოლოვიევის აზრი საქართველოზე და ქართველებზე.—ქართლ-კახეთის ეპარქიის მთავარ სამღვდელოების დეპუტატების კრებისა გამო ქ. თბილისში ოქტომბრის 8—14-დე 1893 წ. დასასრული.—მღვდელთა საყურადღებოთ.—ფსალმუნი ლდ (ლექსი).—გონების სალაროდამ.—პასუხი ზიარელ პროვიზორს.—სასარგებლო ცოდნა, დარიგება მეფუტკრეობის დაწყებისათვის.—განცხადებანი.

ბ-ნი სოლოვიევის აზრი საქართველოზე და ქართველებზე.

„დიდი ხანი არ არის მას აქეთ, რაც რუსეთმაც დაიწყო მოღვაწეობა პალესტინაში, ხოლო რუსეთის სამეფოს სამზღვართა შორის არის ერთი ძველის-ძველი საქრისტიანო ქვეყანა, განთქმული და განდიდებული თავის გმირთ მოწამეობით. ამ ქვეყანამ ააესო იერუსალიმი და მისი მიდამონი თავის აღგზნებულ საქრისტიანო გრძნობის გამომხატველ ნაშთებით. ეს ქვეყანაა საქართველო. მისი კეთილ-მორწმუნე ბერ-მონაზონნი დღესაც მოღვაწეობენ მამა საბას დიდებულს მონასტერში ათონის მთაზე. ქართველი ბერები იყვნენ ამას წინად სინას მთაზედაც. იევრიის მეფეებმა იერუსალიმის ახლო-მახლო ააშენეს მონასტრები. პროფესორ ცაგარელის გამოკვლევამ დაგვანახვა, რომ იერუსალიმის მონასტრებ შორის ყველაზედ უკეთესი და მშვენიერად მოწყობილია მონასტერი წმიდა ჯვარისა, რომელსაც ერეკლე მეფემ გადაუხადა ყოველივე ვალები მე-XVIII საუკუნის გასულს. ამ მონასტერს ჰფლობს და განაგებს პატრიარქია, მხოლოდ იმიტომ რომ სრულიად შემთხვევით დღეს იქ აღარ არიან იევრიის ბერ-მონაზონნი. არ არიან იმიტომ, რომ წარსულ საუკუნეში თავ-განწირული ბრძოლა და ომი ჰქონდა სა-

ქართველოს სპარსეთისა და ოსმალეთის წინააღმდეგ და ამ გარემოების გამო ველარ მიდიოდნენ ქართველი ბერები იერუსალიმს. ხოლო ეს მონასტრები რომ საქართველოს საკუთრებაა, ამის წინააღმდეგ ვერავინ ვერას იტყვის, როგორც არავინ არას ამბობს და არც დავას აცხადებს ვინმე იმის გამო, რომ იერუსალიმის პატრიარქიას მიაქვს ის შემოსავალი, რომელიც ამ მონასტრისთვის შეუწირნიათ საქართველოს მეფეთა და დიდებულთ. ეს ასეა და მთელმა საქართველომ კი თითქოს სრულიად არ იცის, რომ რუსეთში არსებობს პალესტინის საზოგადოება. არც იმისი ისმის რამე, რომ სალოცავად დადიოდნენ საქართველოდამ იერუსალიმში ან ქართველი ბერები, ან სამღვდელონი და ან ერის კაცნი. ეს გარემოება მით უფრო გაუგებარია, რომ ქართველთ თითქმის ხელუხლებლივ შეურჩენიათ ის მიმზიდველი თვისებანი, რომელიც ისტორიამ მიანიჭა: ღრმა გრძნობა ღვთის მოსაობისა, მტკიცე ერთგულება ეკლესიისა, ქველობით აღსავსე სიყვარული თავიანთ ნებით აღრჩეულ ხელმწიფესი, ძმური ნდობა ერთმორწმუნე რუსეთისა, რომელსაც ჩააბარეს თვისი ბედი და ქართველობაზედ კი ხელი არ აიღეს; ხოლო დღესაც, სრულიად სამართლიანად, არა შიშობენ, რომ ხელი ახლოს ვინმემ მათს ქართველობასა.

ბერ-მონოზონთა რიცხვი დღესაც საკმაოა საქართველოში და დაიჯერო—აღარახსოვთ, რომ იერუსალიმში მონასტრები აქვთ? პალესტინა იმ საუკუნო ანდერძთა ქვეყანაა, რომელიც მტკიცედ ჩაჰრთვია და ჩაჰქსოვებია საქრისტიანო ძმობათა სხვა და სხვა მართლიერებას; ხანდახან ამ მართლიერება-უფლებათა მოქმედება შეფერხდება ხოლმე, მაგრამ იმას კი ვერავინ იტყვის, რადგან ხანი და ჟამი გასულა, უნდა მოსპობილ იქმნას, ძალა დაეკარგოს საერო სამსჯავროს წინაშეო. საკმაოა გავიხსენოთ ბეთლემის საქმე, რომელიც შეიქმნა საბაბად სევასტოპოლის ომისა. საქართველოს ძველი უფლებანი პალესტინაში საფრანგეთის კუსტოდიის უფლებაზე ნაკლების ძლიერებისა არ არის, და იმედი უნდა ვიქონიოთ, მათ წინააღმდეგ ვერას იტყვის ერთ-მორწმუნე ბერძენთ სამღვდელოებაცა; ამ სამღვდელოებას, ცხადია, ახსოვს, რა სიუხვითა და წყალობით ეკიდებოდნენ ივერიის კეთილ-მორწმუნე მეფენი, ძველნი მშენებელნი იმ მონასტრებისა, რომელნიც დღეს ბერძენთ გამგეობაშია. პალესტინაში ლათინთა კონგრეგაციები არსებობს, აგრეთვე იტალიელებისა და ფრანგებისა, დაარსდება კონგრეგაციები გერმანელებისაცა და, რასაკვირველია, ლათინთა პატრიარქის მორჩილებაში იქნება ყოველივე ესე; მაშ მართლმადიდებელ ეკკლესიის საკეთილდღეოდ რატომ ბერძენთა მონასტრებთან ერთად არ უნდა არსებობდეს რუსთა და ქართველთა მონასტრებიცა?»

ჭეშმარიტება ყოველთვის ჭეშმარიტებად დარჩება, რამდენიც უნდა ფაროს ჲ აბრუნდოს იგი კაცმა. სამწუხაროდ, ბევრია იმისთანა პირნი, რომელნიც სიმართლეს ფარვენ ჲ კაცის ნამდვილს სამსახურს სრულებით აქარწყლებენ თავისი პირადის სარგებლობისა, წინ ბიჯის წადგმისა, ყურადღების მიქცევისა და დამსახურებისათვის. ხშირად ამისთანა პირნი კიდეც ეწევიან ხოლმე თავისი გულის წადილს ჲ სხვისი დამცირებით და დაჭირვებით, ბევრად თუ ცოტად, წინ სდგმენ ბიჯს ჲ კეთილდღეობენ. მაგრამ ბოლოს დროს ჭეშმარიტება და სიმართლე თავს არ იფარავს ჲ უფრო ბრწყინვალედ ამოკაშკაშდება ხოლმე. ხშირად შევხვედრივართ გაზეთ «Моск. Вѣдомост.»-ში სტატიებს ჩვენი ქვეყნისა და ხალხის შესახებ, რომლებშიაც ერთ სიტყვასაც ვერ ნახავდით ნათქვამს ჩვენდა სანუგეშოდ. პატივი და დიდება ბ-ნს სოლოვიევს, რომლის სტატიის სიტყვები ჩვენ ზემოთ მოვიყვანეთ ხსენებული გაზეთიდამ. ჭეშმარიტად სასიამოვნოა ამისთანა სიმართლით სავსე სტატიის კითხვა და ისიც «Моск. Вѣд.»-ში. ხსენებული გაზეთის ზემოდ მოყვანილი წერილი ორი სხვა და სხვა ტომის ხალხს აერთსულებს და აერთგულებს; რუსეთის მეორე გაზეთი «Новое Время» კი თავისი старожилъ-ის წერილით ამის-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თანა ერთსულობის და ერთგულობის წინააღმდეგია. ღმერთმა ინებოს, რომ ამისთანა მოწინააღმდეგეთა რიცხვი შემცირებულიყოს.

დეკ. დ. ღამბაშიძე.

ქართლ-კახეთის ეპარქიის მთელი სამღვდელოების დეპუტატების კრებისა გამო ქ. თბილისში ოქტომბრის 8—14-ე 1893 წ.

(დასასრული *)

კრებაზე დიდი ბაასი გამოიწვია დეპუტატთა შორის აგრეთვე ბ. ალბოვის მოხსენებამ ეპარქიალური დედათა სასწავლებლის ექვს-კლასიანად გადაკეთების შესახებ. ეს, თითქმის, მეორედ უდგენს სამღვდელოების კრებას ბ. ალბოვი ამ წინადადებას. განსვენებულის მთავარეპისკოპოსის პავლეს დროსაც შემოიტანა ბატ. ალბოვმა ეს წინადადება და სთხოვა სამღვდელოებას ხსენებულ საჭიროებისათვის ხარჯი 2500 მანეთამდე. ამ ფულებს საკმაოდ რაცხდა იგი, რომ ხსენებული სასწავლებელი ექვს-კლასიან სასწავლებლად გადაკეთებულიყო. წინა კრებაზე სამღვდელოებამ საქართველოს ეგზარხოსად ყოფილის, აწ განსვენებულის მთავარეპისკოპოსის პავლეს წინადადება ამ საგნის შესახებ მიიღო და ხარჯიც გარდაწყვიტა, მაგრამ წყარო, თუ საიდამ უნდა შემოსულიყო 2500 მანეთი, კი არ უჩვენებია კრებას. ჟურნალი წარადგინეს უწმ. სინოდში, მაგრამ სინოდმა ეს დადგენილობა არ დაამტკიცა, ვინაიდგან საიმედო წყარო არ იყო ნაჩვენები ახალი ხარჯისათვის.

უნდა გამოტეხილად ვსთქვათ, რომ არც ამ კრებას გამოუჩენია ამ საგნის შესახებ მომეტებული გამჭრიახობა. ბ. ალბოვმა ბევრი მიზეზი დაასახელა ამ სამ-კლასიანი ეპარქიალური დედათა სასწავლებლის ექვს-კლასიანად გადაკეთებისა. ამ საქმისათვის ერთ დროებითად ითხოვდა ბ. ალბოვი 10,000 მანეთს, რომ ამ ფულით შეესყიდათ ერთი სახლი ადგილითურთ ამ ხსენებული სასწავლებლის მახლობლად და შემდეგ ყოველ წლობით ითხოვებოდა ხარჯი არა უმეტეს 2000 მანეთისა.

რამდენიმე დეპუტატი. ძლიერ კარგი იქნება, ვიყიდოთ სახლი ამ სასწავლებლისათვის და ეს სამ-კლასიანი დედათა სასწავლებელი გადაკეთდეს ექვს კლასიანად. საჭირო ფული ამ საქმისათვის მიეცეს სასწავლებელს წმინდა სანთლის ქარხნისაგან.

დ. დ. ღამ—ძე. უნდა მოგახსენოთ, მამანო დეპუტატნო, რომ ეს წინადადება პირველად არ ეძლევა სამღვდელოების კრებას განსახილველად. წინა კრებაზედაც იყო ლაპარაკი ამ საგნის შესახებ და კრებამ კიდეც მიიღო საჭირო ხარჯი. ჟურნალი დამტკიცდა და წარადგინდა უწმიდეს სინოდში, მაგრამ სინოდმა არ შეიწყნარა სამღვდელოების კრების დადგენილობა ამ საგნის შესახებ, რადგან ხარჯის წყარო მარტო სიტყვით იყო ნათქვამი და საქმით კი არა სჩანდა რა. მაინც და მაინც მიუცილებელ საჭიროებას არ შეადგენს ამ სასწავლებლის ექვს კლასიანად გადაკეთება, რადგან რუსეთშიაც არიან ამისთანა სასწავლებლები, და ჩვენ ხომ ჩვენი სიღარიბისა გამო ყველაფერი მოგვეტყოება. მე მხოლოდ ერთი გარემოება მაკვირვებს. ყოველივე ხარჯის დაფარვა თქვენ გნებავსთ წმინდა სანთლის ქარხნის შემოსავლისაგან. ნუ თუ თქვენ არ უწყით, რომ სანთ-

*) იხ. «მწყემსი»-ს № 2, 1894 წ.

ლის ქარხნები, ახალი კანონების ძალით, დიდ სარგებლობას ვერ გვაჩვენებენ. სანთლის ქარხნებს დიდ სარგებლობას აძლევდა ცერეზინი, ეხლა ამ ცერეზინის ხმარება აღკრძალულია და სად გნებავთ თქვენ, რომ 18 მანეთად იშოვოთ ფუთი წმინდა სანთლის ცვილი? ჩემის აზრით მცირეს ხანში 27—28 მანეთად ეღირება ფუთი ცვილი წმინდა სანთლისა. და ამ ფასს შემდეგ განა წმინდა სანთლის ქარხნის შემოსავალი არ დაიკლებს? საჭიროა, რომ ამ ხარჯის დასაფარავად სხვა რამე წყარო უჩვენოს კრებამ, თუ მაინცა და მაინც სურს კრებას ამ სასწავლებლის ექვს კლასიანად გადაკეთება.

სამდვდელოებამ ერთხმად დაადგინა ეპარქიალური სამ-კლასიანი საქალებო სასწავლებლის ექვს კლასიანად გადაკეთება და საჭირო ხარჯის წყაროდ როგორც სასწავლებლისათვის შენობის მოსაპოებლად ისე ყოველ წლიური მომატებული კლასების შესანახავად უჩვენა სანთლის ქარხნის შემოსავალი. ამის შემდეგ კრებას ჰქონდა მსჯელობა სანთლის ქარხნის საქმის უკეთესად წარმოების და სხვა ზოგიერთი კითხვების შესახებაც, მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, კრების სხდომებს ჩვენ აღარ დავსწრებივართ და არც ვიცით, რა მოხდა ამას შემდეგ.

დაბეჯითებით შევიტყეთ, რომ ამ კრების ჟურნალი შესახებ 600,000 მანეთის სესხებისა უწ. სინოდისაგან მათ მეუფებას, საქართ. ექსარხოსს ვლადიმირს არ დაუმტკიცებია. ისიც შევიტყეთ, რომ მათ მეუფებას მოუხდენია განკარგულება, დაუნიშნავს კომისია, რომელსაც უნდა დაეთვალიერებია საქალებო სასწავლებლისათვის მოსაპოებელი სახლი. ეს სახლი ძლიერ უვარგისი და ძლიერ ძვირი აღმოჩენილა. ცნობების შეკრების შემდეგ აღმოჩენილა, რომ სანთლის ქარხანას შემოსავალი ძლიერ მცირე ჰქონებია და ამიტომ არ შეძლებია სხვა რაიმე ახალი ხარჯის დაფარვა. დიაღ, ამნაირად გათავდა ქართველეთის სამდვდელოების დეპუტატების კრება. მსჯელობა ბევრი იყო, დროც ბევრი მოიხმარეს, მაგრამ კრების მოქმედების სარგებლობა ჯერეთ ბევრი არა ჩანს-რა და შემდეგ რა იქნება, ამას მერმე შევიტყობთ.

დამსწრე.

პასუხი

ზაარელ პროკოფიოზოს.

1879 წლიდამ დიდის სიამოვნებით მოველოდით ჩვენგან შედგენილი და გამოცემული კარაბადინის გარჩევას ვინმე ექიმისაგან. სულით და გულით გესურდა, გამოსულიყო ვინმე და ეჩვენებინა ჩვენგან გამოცემული კარაბადინის შეცდომები. 1880 წელში გაზ. «დროება» კიდეც დაგეპირდა ამ წიგნის განხილვას, მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, დღემდის ხმაც არავის ამოუღია.

კარაბადინის პირველი გამოცემა სულ გაიყიდა. სანამ მეორე გამოცემას ხელს მივყოფდით, ჩვენ მივმართეთ ყველას, რომ განეხილათ ეს წიგნი და მასში მომხდარი შეცდომები შეენიშნათ, რომ 2-ე გამოცემაში ავშორებოდით ძველ შეცდომებს, მაგრამ არავის ხმა არ ამოუღია. გამოვეცით მეორედ კარაბადინი და როგორც ყველა ოჯახისათვის საჭირო და სასარგებლო წიგნი «მწყემსი»-ს ხელის მომწერთ დაურიგეთ საჩუქრად წარსულ წელში.

ამ წლის გაზეთ «ივერიის» მე-17 №-ში ჩვენ წავიკითხეთ ბიბლიოგრაფიული წერილი. ამ წერილის ავტორს აუღია გასარჩევად ჩვენგან გამოცემული «კარაბადინი», სულაქველიძის გამოცემა «სიმართელის კიდობანი» და გუნიას კალენდრის «საექიმო ნაწილი». ჩვენ დიდის სიამოვნებით მივეგებეთ ამ წერილს და იმედი გვქონდა, ეხლა მაინც ჯეროვანად განირჩევოდა და დაფასდებოდა ამისთანა წიგნები, მაგრამ ძლიერ მოეტყუვედით. ჩვენ გვეგონა, რომ წერილის ავტორი იქნებოდა ვინმე სპეციალურად მომზადებული ექიმი და ხელში შეგვრჩა ვიღაცა ზი-

არქლი პროვიზორი. პროვიზორი ქართული სიტყვა არ არის და ვინც უცხო ენები არ იცის, ექიმი ეგონება, ან ვინმე დიდი ნასწავლი კაცი. პროვიზორი ლათინურია და ნიშნავს აფთიქარის თანაშემწეს, წამლების მომმზადებელს ექიმის ჩვენებით და მიწერილობით.—პროვიზორმა იცის მხოლოდ, თუ რომელ წამალს რა სახელი აქვს და მოამზადებს ისე, როგორც უჩვენებს ექიმი. რაიცა შეეხება ავადმყოფობას, მისი არა გაეგება რა და არც ის იცის, თუ რომელი წამალი მოარჩენს ავადმყოფს. აქედამ ადვილად შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, თუ რამდენად შეუძლია საექიმო წიგნების გარჩევა პროვიზორს, **ზიარელი** იყოს იგი, თუ გინდ თფილისელი.

მთელი წიგნიდამ აულია ჩვენ **ზიარელ პროვიზორს** რამდენიმე სია წამლის მომზადებისა და თავის შენიშვნებს სწერს. წამლების შესაზავებლად ამა და ამ წამლის ამდენი კი არ უნდა გეხმარათ, ამდენი და ამდენი გრანი და ან მისხალი უნდა გეხმარათო. რატომ ისე არ უნდა შეგვეზავებია წამლები, როგორც ზიარელი პროვიზორი გვეუბნება, ამას ის არაფრით გვიმტკიცებს. «გოფმანის კაპლი»-ს მომზადების შესახებ სწერს ჩვენი ზიარელი პროვიზორი, ერთ ნაწილ ეთერზე ორი წილი სპირტი უნდა და არა სამი წილიო». რატომ არ შეიძლება სამი წილი სპირტის გარევა? ზიარელი პროვიზორი გვირჩევს, რომ ერთ წილ გოგირდის ეთერზე ორი წილი სპირტი უნდა იყოს გარეულიო. შესანიშნავი დოქტორი ფ. ესტერლენი თავის შესანიშნავ წიგნში «ფარმაკოლოგია»-ში ამბობს, რომ გოფმანის „კაპლი" მომზადდება ერთი წილი გოგირდის ეთერისა და სამი წილი სპირტისაგანო. რომელს დავუჯეროთ, ამ შესანიშნავ ექიმს ფარმაკოლოგს, თუ ზიარელ აფთექის თანაშემწეს?...

მერე **ზიარელი პროვიზორი** უბრუნდება № 8-ს და გვისაყვედურებს, თუ რატომ არ ვუჩვენებთ, სპირტი რამდენი უნდა იხმარებოდეს ამ «უნივერსალური კაპლის» მოსამზადებლადო. ვერ გაგვიგია, რომელ «კაპლზე» ამბობს იგი და ან რას ამბობს?

„ჭიანჭველების სპირტი, ამბობს ზიარელი პროვიზორი, მშვენიერი რამ საშუალებაა და რატომ არ ამბობთ, რა და რა სატკივარისათვის იხმარება? ამისთანა სახალხო წამლებს, რასაც უფრო მეტს დაასახელებთ, იმდენი კარგია: გარდა ტექსტისა აქაც უნდა ყოფილიყო მოხსენებული.(?) ძლიერ ვსწუხვართ, ბ. ზიარელო პროვიზორო, რომ მესამე ნაწილი ჩვენი კარაბადინისა არ წაგიკითხავსთ და არც დაკვირვებიხართ მეოთხე ნაწილს კარგად, თორემ არ წამოგცდებოდათ ეს სიტყვები. მეოთხე ნაწილში წამლების მომზადება გვაქვს ჩვენ აწერილი და ის, თუ რომელი ავადმყოფობის წინააღმდეგ იხმარება ეს წამლები, ეს მესამე ნაწილში არის ნაჩვენები, სადაც აღწერილია სნეულებანი...

ჰკითხეთ ხალხს, ბ. პროვიზორო, ქეზაფს რას უწოდებენ, თუ „კრეოზოტ"-ზედ არ მიგითითონ. სახალხო საექიმო წიგნებში რა უნდა ამ წამლის ხმარებასო, ამბობს პროვიზორი, მაგრამ ეს თქვენი საქმე არ გახლავსთ. საექიმო რჩევაში ამაზედ ბევრი ლაპარაკი იყო, მაგრამ დაინახეს შესაძლებელად მისი ხმარება ჩვენს წიგნში. მიხაკის ზეთი კბილის წამლობისათვის იქნება თქვენ მოგწონს და სხვას არა...

«შაბის სასმელად ხმარებას, ბრძანებს ზიარელი პროვიზორი, სჯობს სრულებითაც არ ურჩიოთ! მთელი არსენალია (ნეტავი გვაცოდინა, რა არის არსენალი?) წამლებისა და განა სხვა ვერა იპოვენით რა?» და ვინ ურჩევს მერე მის სმას? ერთს ადგილს ვერ გვიჩვენებთ ჩვენს კარაბადინში, რომ ამ წყლის სმას ვურჩევდეთ ავადმყოფს. თქვე დალოცვილო, კრიტიკოსობა გინდათ და წიგნს კი არ წაიკითხავთ.

„რასა ჰგავს ეს, ბრძანებს ჩვენი ზიარელი ხიმიკოსი პროვიზორი, განა ბელი კუპოროსი, «სერნოკისლი ცინკი» თეთრი შაბიამანია?!!» გამოჩენილი ექიმის ესტერლენის წიგნში ფარმაკოლოგია არის დაწერილი: Сѣрнокислая окись цинка бѣлый или цинковый купоросъ და ჩვენც ვსთარგმნეთ, თეთრი კუპოროსი და ქანგარო ვიხმარეთ მიტომ, რომ ამ წამალს სწორედ ამ სახელს უწოდებენ იმერეთში და არა თუთიას, რომელი სიტყვაც წარმოსდგება თათრული ენიდამ და არა ქართულიდამ.

№ კბ. მამა დამბაშიძეს ორი რეცეპტი მოჰყავს პირის საქმებისთვის, ამბობს ზიარელი პროვიზორი. ეხლანდელ დროში განა კიდევ ხმარობენ პირიდან სასაქმებელ წამლებს? ვსთქვათ, იშვიათად სჭირდებათ ბავშვების ავადმყოფობაში, როცა მოგროვილ ხორხის გამო სული ეხუთებათ და სხ. მაგრამ რა ალაგი აქვს პირიდან სასაქმებელ წამლებს სახალხო კარაბადინში!

ამას თქვენ არავინ გკითხავს. ალბათ შეიძლებოდა ამ წამლების მოყვანა კარაბადინში, როდესაც

ექიმთა კრებამ განიხილა ეს წიგნი და ნება დართო მის დაბეჭდვაზე.

ქვემოთ განაგრძობს ზიარელი პროვიზორი

№ კდ და № ეკ. ამ რეცეპტებიდან კეთება, რომ ავტორს ღვინის მარილი და ღვინის მარილის მჟავა ერთი და იგივე ჰგონია, ამასთანავე შუშხუნა სასმელების მოსამზადებლად სოდას და „კისლატას“ ერთსა და იმავე წონასას ურჩევს, მაშინ, როდესაც სოდა უნდა რამდენიმე გრანით მეტი იყოს.

სრულებით არ გეგონია, რომ ღვინის მარილი და ღვინის მარილის მჟავა ერთი და იგივე იყოს, მაგრამ საზოგადოდ ჩვენში ღვინის მარილს უძახიან და არა ღვინის მარილის მ ჟ ა ვ ა ს. შუშხუნა სასმელის მოსამზადებლად სოდას გრანით არავინ წონის, და არც ერთ ადგილას არ ვამბობთ ჩვენ მაინცა და მაინც სიმჟავე და სოდა ერთი და იმავე წონის უნდა იყოს-თქო. საიდან მოიფიქრეთ ეს?

იმერეთის (ზღვის პირის) ტიკა-ტხვლებას ჯერზედ ორი გრანი ქინა-ქინა ეყოფა?! ამბობს ზიარელი პროვიზორი, ათ გრანზედ ნაკლებ, ბატონო, რა სათქმელია, ეგ რუსულიდან რომ გითარგმნია, რუსეთის ტიკა სულ სხვა არის და იქ, სადაც ქათმებსაც-კი ატიკებს, ორი გრანი ქინა-ქინით ბატონს გაარიგებთ.

და სად ვამბობთ ჩვენ, რომ ზღვის პირა ადგილებში ციებებიან სნეულთ ორი გრანი ქინა-ქინა მიეცით-თქო? ჩვენ ეს წერეთ: ციებისაგან მოსარჩენად ავადმყოფს აძლევენ თითო ჯერზე ორს გრანს ან მეტს. საიდან მოეჩვენა ჩვენ ზიარელ პროვიზორს, ორ-გრან მეტ ხინას ნუ იხმართ დასალევათ-თქო?

№ მბ. «სალთეი»-ს ორგან შევხვდი, ნეტა რა არის? უთუოდ «шалорей»-ს თქმა გინდათ, რომელსაც ქართულად სალბია ეწოდება», ბრძანებს ზიარელი პროვიზორი («ივერია» № 26).

ნეტავი რას უწოდებს ზიარელი პროვიზორი шалорей-ის? ალბად მას шалфей-ის თქმა სურდა! ამისთანა შეცდომებს თუ გამოყენა ჩვენი ზიარელი პროვიზორი, ბევრ დროს დაკარგავს და საქმე კი არ გაკეთდება.

ამისთანა შეცდომები კიდევ რამდენიმე მოჰყავს ზიარელ პროვიზორს ჩვენი კარაბადინის მეოთხე ნაწილიდგან, მაგრამ ჩვენ უყურადღებოდ ვსტოვებთ ზიარელის შენიშვნებს, რადგან მისი შენიშვნები ძლიერ წერიმალად მიგვაჩნია.

ზიარელი პროვიზორი კი არა საფრანგეთის პროვიზორიც რომ იყოს კაცი, მას მაინც არ შეუძლია გაიგოს, თუ რომელი წამალი რა ავადმყოფობის წინააღმდეგ იხმარება და რა დროს. ეს არის ექიმის საქმე. მერე, წამალს სალბიას უწოდებთ, თუ ს ა ლ თ ე ი ს, სულ ერთია, ამით ხსენებულს წამალს თავისი ძალა არ დაკლდება და არც რაიმე მოვმატება. სრულებით არ შეუძლია დამტკიცებით სთქვას პროვიზორმა, რომ ეს და ეს წამალი კარგია და ეს და ეს ცუდია. ამის შეტყობა დამოკიდებულია მხოლოდ ექიმებზე და მათ გუნებაზე!...

დეკ. დ. ლამბაშიძე.

გონების სალაროდან.

ზოგიერთი კაცების განთქმულ სახელს ხშირად შეეყავართ შეცთომაში.

ბერნარდი.

ყოველი კაცის სურვილი რომ აასრულოთ, სწორეთ ქვეყანა ჯოჯოხეთად გარდაიქცევოდა.

ბუასტი.

გასვრილი სვინდისით კაცი ნეტარებაში მყოფობის დროსაც კი ჯოჯოხეთშია.

მანტეონი.

ნორჩი ანგელოზი შეიძლება სიბერის დროს ეშმაკად გარდაიქცეს.

ნემეცური ანდაზა.

წერა-კითხვის უცოდინაროობა ხალხთა კარგი ნიშანი არ არის...

გორდონი.

კაცი დაბადებულია მოქმედებისათვის. კაცი, რომელიც არ მოქმედობს, უდროოდ მკვდარია.

ბუასტი.

მღვდელთა საყურადღებოდ.

საეკკლესიო სანთლის ქარხნების საქმის წარმოების შესახებ ახლად გამოცემულმა კანონებმა დიდი ცვლილება მოახდინეს საზოგადოდ ყველგან და კერძოდ სასულიერო უწყებაში. ყველამ იცის, რომ წინეთ ცერეზინი ხელს უწყობდა სანთლის მექარხნეებს, რადგან ამ ნივთიერებას მომეტებულად ურევდენ სანთელში. ეს ყალბი ნივთი ამცირებდა წმინდა სანთლის ცვილის ღირსებას და ეს იყო მიზეზი, რომ დღემდე ფუთი ცვილი წმინდა სანთლისა 18 მანეთად ისყიდებოდა და ზოგან ნაკლებათაც. დღეს კი, როდესაც ახალი კანონით აღიკრძალა ცერეზინის ხმარება წმინდა სანთელში, სანთლის ცვილი გაძვირდა და ფუთი 27—28 მანეთამდე ისყიდება. მაშასადამე სანთლის ქარხნებს ფუთ სანთელზე შვიდ-რვა მანეთამდე დააკლდებათ მოგება. იქ, სადაც საეკკლესიო სანთლის ქარხანა ა თ ა ს ფუთს სანთელს ჰყიდდა წელიწადში, ერთბაშად იზარალებს რვა-ათას მანეთს. ამ გარემოებას სამღვდელოებამ ჯეროვანი ყურადღება უნდა მიაქციოს.

რით შეუძლია სამღვდელოებას, რომ ამ საქმეს დაეხმაროს? ცნობილი და დამტკიცებულია, რომ მთელი საქართველო, თითქმის, ერთი უპირველეს ალაგთაგანია დედა-მიწაზე, სადაც დიდის მოგებით შეიძლება ხელი მოკიდოს კაცმა მეფუტკრეობას. საეკკლესიო სანთლის ქარხნებს ვერაფერი ვერ დაეხმარება ისე, როგორც მეფუტკრეობის გაძლიერება საქართველოში. ვინც მეფუტკრეობას ჯეროვნად მოჰკიდებს ხელს, ის დიდ სარგებლობას გაუწევს, როგორც ეკკლესიებს, ისე თვით სამღვდელოებას. თუ მეოჯახე ერთგულად ხელს მიჰყოფს მეფუტკრეობას ეხლანდელი დასაშლელი სკების საშუალებით, ყოველთვის თითო სკა წელიწადში მისცემს მოგებას 5 მანეთამდე. რაც ჩვენს ქვეყანაში ფუტკრები დაუმსიათ წულით, როცა ორი-სამი გირვანქა თაფლის გამოღება სდომებიათ სკიდამ, მარტო ეს ფუტკრები იყო საკმაო მთელი საქართველოსათჳს. ჩვენდა სამწუხაროდ, ეს ბარბაროსული საქციელი დღესაც ბევრგან სრულდება. ამისათვის ჩვენ ჩვენს გამოცემაში ქართულად ვბეჭდავთ დარიგებას მეფუტკრეობის შესახებ. სრული იმედია, რომ ჩვენი სამღვდელოება ერთგულად მიჰყოფს ხელს ამ საქმეს. მეფუტკრეობის შესწავლის მსურველთ შეუძლიათ, ვინც ჩვენზე დაახლოვებით არიან, მოვიდნენ ჩვენთან დაპა ყვირილაში, სადაც პრაქტიკულად შეუძლიათ შეისწავლონ მეფუტკრეობა და ახალი სკების მომზადება. დღეს, მადლობა ღმერთს, მეფუტკრეობის პრაქტიკულად შესწავლა, ახალი სკების მომზადება და დათვალიერება მსურველთ შეუძლიათ თბილისში, ბ. წინამძღვარიშვილის სკოლაში, ქუთაისში მიხეილ სკაპეცთან, ქუთ. სას. სასწ. მასწავლებელთ მატარაძეებთან, გუბში ბ. ნ. წერეთელთან და სხვ. ერთი სიტყვით საჭიროა მხოლოდ მონდომა და საქმის შეგნება. ჴ ვინღა უნდა იყოს ამ საქმეში მაგალითის მიმცემი, თუ არა ჩვენი სამღვდელოება?

დეკ. დ. ღამ—ძე.

ფსალმუნი ლდ.

საჯენ იგინი უფალო,
ვინც ჩემთვის მავნებელია.
და ბრძოდე ჩემ წილ, მებრძოლნი
ჩემზედა აღდგომილია.
ჩემს წინაკერძო შეკრიბე
მახვილი, ჭური და ფარი,
უმართლოდ ჩემზედ მოსულ მტერს
თავს რისხვა, მეხი დაჰკარი.

არქვი ჩემ სულსა, ნუ შფოთავ,
თვით მე ვარ შენი მხსნელიო,
რომ სირცხვილეულ კდემულნი
ივლტოდენ ბილწნი, მტერიო.
აღგავე ქვეყანისაგან
ვით ქარისაგან მტვერიო,
ჰყვენ გზანი მათთვის ბნელ, ცთომილ,
საფრხენი მრავალფერიო.
თვითონ შთაყარნე იგინი
ჩემთვის დაგებულ მახეში,
მოწყალე მექმენ, უფალო,
რომ არ შთავვარდე საფრხეში.
კეთილის ნაცვლად ბოროტი
მომაგეს, ცუდი იჩრახეს,
განირყვნეს, არ შეინანეს,
არ დასცხრენ და შეურაცხმყვეს.
შევიტკბე ისე როგორც ძმა
და მეგობარი გულითა,
მაგრამ იმათ კი ბოროტად
მიმიღეს სიძულილითა.
უფალო, ოდეს მომხედავ
და განაშორებ ჩემს სულსა
ძვირის საქმისა მათისგან,
მძლავრთაგან ჩემს გულს მოწყლულსა?
პირში კეთილსა მეტყვიან,
პირსუკან ბოროტს ზრახავენ,
და იხარებენ ჩემზედა,
თუ რომ დაცემულს მნახავენ!
ნუ მისცემ ადგილს მათ გულში
იმ ფიქრს, რომ შთავნთქათ იგიო.
დიდ არს უფალი, მშვიდობის
მოყვარე მონის თვისისა,
მე, მონა მადიდებელად
მისის სახელის წმიდისა.

რ. საფაოხელი

სახელმძღვანელო, საყურადღებო, საჭირო და სასარგებლო ცნობათა განყოფილება.

დარიგება მეფუტკრეობის დაწყებისათვის

(გაგრძელება *)

ორგვარი დასაშლელი სკა

სრულ-თავიანი ჩარჩოები.

როგორც ზემოთა ვთქვით, ერთი ფიჭის დასაწყისიდამ მეორე ფიჭის დასაწყისამდე საჭიროა სამი მეოთხედი გოჯისა, არც მეტი—არც ნაკლები. ამისათვის ყოველ ჩარჩოს უკეთებენ თავის სიფართეს გოჯის სამ მეოთხედს. რაც შეეხება ჩარჩოების სიგრძე-სიმაღლეს, სხვა და სხვა ნაირს ხმარობენ. ჩარჩოები მიეწყობიან ერთი მეორეზედ მჭიდროდ თავებით ისე, რომ ზემოდამ სინათლე არ ჩავიდეს, მხოლოდ მათ ქვეშ იატაკამდის უნდა იქმნეს ცარიელი ადგილი არა ნაკლები ნახევარ გოჯისა, გვერდებსა და კედლებშუა კი—არა ნაკლები მესამედ გოჯისა, თუმცა აქ არც დიდი უნდა იქნეს ცარიელი ალაგი, თორემ ფიჭებს გადააცილებენ ჩარჩოებზე და მიაბმენ კედლებზე, მიუცილებელ საჭიროებას შეადგენს ყველა სკებისათვის მოსარგო ჩარჩოების კეთება; უამისოდ მეფუტკრეობა თავის სასარგებლო მიზანს ვერ მიაღწევს. აგრეთვე მჭიდროდ იქნება შეკრული მთელი სკაც, რომ იატაკიდამ, გვერდებიდამ და წინა პირიდამ ჭურჭუტანები და ნაბზრები არ ექმნეს. ჭერის მაგივრად იქმნება ერთი-მეორეზე წაწყობილი ჩარჩოები. ხოლო უკანა გვერდი—შესაზევ-გამოსაზევი, რომ ჩარჩოების აძოკლება და ჩამატება არ მოგვიშალოს. ძალიან სასარგებლოა ექნეს გამოსაღები იატაკი. ეს კარგია გაწმენდისათვის. წინა კედელზე (შუბლზე) დაეტანება ორი საფრენი თეალი, ერთი—შუბლის ფიცრის და იატაკის შესაერთებელთან და მეორე ზემოდ. ქვედა საფრენთან უნდა მიაკრათ პატარა ფირფიტა ფუტკრების დასაჯდომად. ციკვს შენობისათვის თეალი დაეტანება გვერდით, თფილისათვის კი ფიჭის პირდაპირ. სახურავი სჯობია ფიცრისაგან გაკეთებული. სკის მასალა უნდა იყოს

*) ის. „მწყემსის“ მე-23 № 1893 წ.

ხმელის და იმისთანა მასალიდგან (ხიდგან), რომ კლება-მომატება არ იცოდეს, მაგალ. რთხმელა, წიფელა და ალვის ხე.

ვიწრო თავიანი ჩარჩოები

ამგვარ სკებს ის გარჩევა აქვსთ პირველთან, რომ ჩარჩოებს უფრო ვიწრო აქვსთ თავები, საიდამაც ფიჭები დაიწყებიან, რის გამო მათ შორის ფუტკრებისათვის მაღლა ასავალი ალაგი რჩება. ეს გარემოება მეფუტკრეს აძლევს შეძლებას ერთი დახედვით შეიტყოს ფუტკრის ცხოვრება და ამ მიზნისათვის არ აურ-დაურიოს ჩარჩოები.

სათაფლე განყოფილება, მისი მიზანი და მოხმარება.

უმთავრესი საქმე გონიერული მეფუტკრეობისა არის რაც შეიძლება ბევრი თაფლის მიღება, რაისათვის საჭიროა საკმაო მუშა ფუტკარი გავაშენოთ იმ დროსათვის, როდესაც თაფლის უმთავრესი საშოვრობა იწყება, მონავრის რიცხვი კი შევამციროთ. სკაში მეფუტკრემ არ უნდა დააყენოს მამალი ფუტკრის ფიჭა და თუ ამას ყურადღება არ აქვს მიქცეული, დარწმუნებული უნდა იყოთ, რომ იმისთანა მეფუტკრე სრულიად უცოდინარია თავის საქმისა, ანუ ზარმაცი. საქმე იმაშია, რომ თუ ფუტკრებს დრო აქვსთ აშენონ ფიჭები, მაშინ ლონიერი ნაყრები, რომლებსაც ძველი დედო ჰყავსთ (იმ გაზაფხულის გარდა ყველა ძველად ითვლება), მონავრის ფიჭებს აგებენ, რის გამოც შენდება ურიცხვი მონავარი ტყუვილა, შემქმელი ფუტკრების ნაღვაწ-ნაშრომისა.

ზემოდ აღნიშნული მიზნის მისაღწევად მეფუტკრები ხმაროობენ სხვა და სხვა საშუალებას. სათაფლე განყოფილებას აკეთებენ ბუდის ცალკე, რომ დედოს ნება არ მისცენ მოსცილდეს ბუდეს და სდოს კვერცხი თავის სურვილისამებრ. ხშირად ხდება, რომ სკა ლონიერია, მაგრამ თაფლის საშოვრობის დროს მაინც ძლიერ შენდება. ეს ხელს უცარავს თაფლის შენახვას, რადგან ბარტყები დიდ ალაგს იკავებენ სკაში, ბევრ თაფლს ანადგურებენ და ფუტკარსაც ბევრს აცდენენ მოელის დროს. სკა მანამდის უნდა გალონიერდეს, თორემ ახლა მუშაობა უნდა. დედო რომ სათაფლე განყოფილებაში არ გაეიდეს, ხმაროობენ ერთგვარ რკინის ცხრილს; რომელშიაც გაეტევიან მარტო მუშა ფუტკრები. ეხლა ყველაზედ საუკეთესო განცმანის ცხრილია, რომლითაც ჰყოფენ ბუდის ფიჭებს სათაფლე განყოფილებიდგან. ფუტკრები ხედავენ, რომ სათაფლე განყოფილების ფიჭებს დედო ველარ მოიხმარს ბარტყებისათვის და თაფლით ავსებენ. საშოვრობის მოსპობის შემდეგ მეფუტკრე სპობს სათაფლე განყოფილებას და თაფლს, რაც ფუტკრებს არ დასჭირდებათ საზამთროდ, თავისათვის ინახავს.

დადანის სკა

გამოჩენილმა ამერიკელმა მეფუტკრემ დადანმა, იმის მიხედვით, რომ ინსტინქტურად ფუტკრები თავის საზრდოს—თაფლს აგროვებენ სკის თავში, ე. ი. ზევით, ქვევით კი საბარტყე ბუდეს, მოაწყო საუკეთესო სკა, რომელიც შესდგება ორის ანუ სამის სართთულიდგან. თვითეული სართული შესდგება სწორი ოთხკუთხიანი ყუთიდგან. ერთ მათგანში სცხოვრობს ფუტკრის ოჯახი; ჩარჩოების თავზე გადაფარებულია ძველი ტილო ანუ სხვა რამე ქსოვილი, რომელსაც დათვალიერების დროს ნელ-ნელ გადაზევენ. თავს ადგია რიგიანად მოხდენილი და მაგრად შეკრული თავსახურავი. როდესაც ბუდე გაივსება ბარტყებით და კვერცხებით, ფუტკრები გამრავლდებიან და თაფლის ზიდვა გაჩაღდება, მაშინ თავსახურავს მოხდიან, საფარს ააცლიან, მის მაგივრად დააფარებენ ცხრილს და შემდეგ ზევიდგან დაადგმენ მეორე ყუთს. ეს ყუთი წარმოადგენს სათაფლე განყოფილებას. ფუტკრების ამოსატყუებლად ამ განყოფილებაში ჩადგმენ ერთს ანუ ორ ბარტყიან ფიჭს, დანარჩენს კი ჩააწყობენ ცარიელ მზა ფიჭებს. აგრეთვე მოიქცევიან მესამე ყუთის დადგმაზედაც, თუ საჭირო იქმნა. როდესაც თაფლის საშოვრობა გათავდება, მაშინ სათაფლე განყოფილება ისპობა; ჩარჩოებიდგან ფუტკრებს ჩაფენთხენ ბუდეში, თაფლს კი, რაც ფუტკრებს არ დასჭირდებათ, საზამთროდ შეინახვენ.

დადანის მეფუტკრეობა მოითხოვს სკების უნაკლულობას (ამისათვის ძვირიც არის), დიდს თვალყურისგდებას და მუდამ საფუტკრეზე ყოფნას. მეფუტკრეს არ შეუძლია იქონიოს საფუტკრეები სხვადასხვა ალაგას, რადგანაც ერთს ვერ მოსცილდება. ამ შემთხვევაში ერთი საფუტკრე არ მისცემს მეფუტკრეს ნებას გააშენოს დიდი რიცხვი ფუტკრებისა, თუ არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემოილო თესვა სათაფლე მცენარეებისა, რომელთაც უნდა აძლიონ ფუტკარს თაფლი მთელი ზაფხულის განმავლობაში, და არა ერთ რომელიმე დროს. ადრე გამოზაფხულზე ფუტკარს უნდა განგებ ჰმევა, რომ ადრევე გაღონიერდეს და თაფლის საშოვრობაზე მუშა არ დააკლდეს. ამასთანავე აუცილებელი საჭირო არის მრავალი ხელსამწყო.

ამისთანა მეფუტკრეობა სახელდახელოა. მხოლოდ ზოგიერთისათვის და არა საზოგადოების უმრავლესობისათვის.

ლაიანსის სკა

დიდმა განთქმულმა და პატივცემულმა ფრანგმა ლაიანსმა სულ სხვა ნიადაგზე დააყენა მეფუტკრეობა. მისმა სწავლამ და გამოცდილებამ ყველას შეძლება მისცა იყოლიოს ფუტკარი სადაც და რამდენიც უნდა იმ დროს, როდესაც სხვა საქმესაც არ მოცდება.

სკები არიან ვრცელი, რომლებშიაც ფუტკრები ძვირად ნაყრობენ. მათ გაზაფხულზე აძლევენ (აწყობენ შიგ ჩარჩოებით) მზად ფუტკრის ფიჭებს და მით წინათვე სპობენ მონავრების უბრალოდ გაშენებას. ბუდისათვის (კვერცხისა და ბარტყებისათვის) საჭირო ალაგს სკაში ჰყოფენ დანარჩენი ადგილიდამ ცხრილით, რომ დედო სანაშენო ბუდეს ვერ გაშორდეს და მით თაფლის გროვებას ხელი არ შეუშალოს. რადგანაც ფუტკრებს ფიჭის შენება ძალიან ამხნევებს, ამისათვის ცარიელი ადგილიც ბევრი აქვსთ სათაფლე განყოფილებაში, რომ თვითონაც აშენონ ფიჭები. შეიძლება მაშინ მონავრის ფიჭებიც ჩამოიყვანონ, მაგრამ რადგანაც დედოს იმ განყოფილებაში მსვლელობა არ ექმნება, მათ ფუტკრები თაფლის ჭურჭლად მოიხმარენ. ამისთანა სკებს დიდი მოვლა არ სჭირდება, რადგანაც სრული არიან და სათაფლე განყოფილება არ შეადგენს ცალკე მოსახსნელ განყოფილებას. სათაფლე განყოფილება კეთდება ჩარჩოებ შუა ცხრილის ჩადგმით, რომელიც შემოდგომაზედ შეერთდება ბუდესთან ცხრილის ამოღებით. ამგვარი მეფუტკრეობა მითაა ადვილი, რომ მთელს წელიწადში სჭირდება მხოლოდ ორჯერ ნახვა. აპრილში ბინის კასადიდებლად და შენახულების დასახედავად, შემოდგომაზე—თაფლის ამოსაღებად და ზამთრისათვის მოსამზადებლად. ეს უკანასკნელი სკა ამით აძლევს მეფუტკრეს ნებას იყოლიოს ფუტკარი სხვა და სხვა ადგილებზე და იმსახუროს თვით ბუნება სათაფლე მცენიერების გაუშენებლადაც.

პირველად, როგორც ზემოთა ვსთქვით, გაისინჯება სკები გაზაფხულზედ იმ დროს, როდესაც ფუტკრებს თორმეტი დღე მაინც უმუშავნიათ გარედ (იმაზე ადრე არ ივარგებს). ყველა ბარტყებიანი ფიჭები უნდა მიეწყოს სკის ერთ ყურეში იმ რიგზე, როგორც დაგხვდათ. ხოლო იქით-აქეთ უნდა ჰქონდეს ცოტაოდენი თაფლიანი ფიჭები. ეს უკანასკნელები წარმოადგენენ ორ ბუნებით კედლებს ბარტყების სიცივისაგან დასაფარავად.

რ. ჩიხლაძე.

შეწირულებანი.

1) ზემოჩიბათის წმ. გ. ეკლესიის მღვდლის თომა ჯორბენაძისაგან:

„მ. რედაქტორო! გთხოვთ მადლობა გამოუცხადოთ თქვენის ჟურნალის «მწყემსი»-ს საშუალებით როგორც მე, აგრეთვე რწმუნებულმა ჩემმა მრევლმაც ფოთის ქალაქის მცხოვრებს ალექსანდრე ჯორბენაძის მეუღლეს დესპინეს, რომელმაც შემოსწირა ჩემდამო რწმუნებულ ეკლესიას ტრაპეზზე დასადგმელი ოქროში დაფერილი სანაწილე, ღირებული 18 მ. და ემბაზი—10 მ., და კიდევ სხვა და სხვა უსაჭიროესი ნივთები.

2) ჯალაურთის წმ. გ. ეკლესიის მღვდლის ი. ჩაჩანიძისაგან:

«მ. რ. უმორჩილესად გთხოვთ ნება მიბოძოთ, რომ თქვენი ჟურნალის «მწყემსი»-ს შემწეობით გულითადი მადლობა გამოუცხადო იმ პირთ, რომელთაც შემოსწირეს სხვა და სხვა ნივთები ჩემდამო რწმუნებულს ჯალაურთის წმ. გ. ეკლესიას. აი სიაც შემომწირველთა:

გლ. ს. ლამბაშიძემ მინაში ჩასმული და ვერცხლით შემკობილი მაცხოვრის ხატი, ღირებული ოცი მ.,
გლ. პეპო ძინძიბაძემ 1 ბრონზის შემკობილი ჯვარი ტრაპეზზე დასასვენებელი, ღირებული 1 თუმნისა,
გლ. საჩინო ძინძიბაძემ ვერცხლის საცეცხლური, ღირებული, 10 მ.

რედაქციის პასუხი.

გრიგ. ტუე—ძეს. როდესაც ყველანი აგრე გულგრილად ეპყრობიან ეკლესიის შენობის საქმეს, გაზეთში დაბეჭდილ სტატიას ვინლა მიაქცევს ყურადღებას? სოფელმა ხარჯი უნდა მოსთხოვოს ხუროთ-მოძღვარს, რომელმანც ეკლესიის გეგმა შეადგინა და ტაძრის შენობა შეამოწმა და მტკიცე და რიგიან აშენებულად იცნო. თქვენ იტყვით: ეს არც ერთი არ ასრულებულაო. საქმეც ის არის, რომ ჩვენმა ხალხმა ვერ შეიგნო კიდევ—ბლალოჩინი ხუროთ-მოძღვარი არ არის და კაპეიკიან ქალაღიდზე დაწერილი კანტრაქტი ნატარიუსის დაუმოწმებლად გროშათ არ გამოდგება საჭიროების დროს...

მღვ. პ. კვა—იას. თქვენი სიტყვა დაგვიანებულია და არ იბეჭდება.

მასწავ. ბობოხიძეს. ძლიერ ცდებით, თუ მართლა ფიქრობთ, რომ 1200 მ. მისი წყალობით დაგვინიშნათ. ამას უმადლოდეთ, იცით ვის? ნახეთ მიწერ-მოწერა ამ საქმეზედ 1892 წ. და გაიგებთ. სხვა თქვენი მონაწერი ამბები ძლიერ დაგვიანებულია და არ იბეჭდება.

ზოგიერთ წიგნთ-საცავების და სამკითხველოების დამაარსებელთ. ჩვენ რაღაცა ეჭვის თვალით ვუყურებთ ასე ხშირად და ბევრგან სამკითხველოების გავრცელებას. ვაი, თუ ზოგიერთ პატრონებს ეს სამკითხველოები თავიანთ თავისათვის გაეხსნათ და არა საზოგადოებისათვის... საჭიროა ოფიციალურად გიცოდეთ, რომ სამკითხველო არის გახსნილი...

მღ. გ. გოგიჩ—ს. გამოგვიგზავნეთ ათი შაურის მარკა და მიიღებთ კარაბადინს. ამ 1894 წ. კი ხელის მომწერნი ყველანი მიიღებენ დაპირებულ საჩუქარს.

მღ. მ. გაგაშ—ს. თქვენი სიტყვა არ იბეჭდება.

მღვ. ს. ნი—ძეს. მაგაზედ მეტი დასდა იქნება უქმის მტეხელისა? კალოზე პური დაბნევია მეხით, ბზე ქარს წაუღია და ისინიც იქვე მოუკლავს. ჭეშმარიტად სასტიკი დასდაა, თუ მართალია, რასაც იწერებით.

მიილება ხელის-მოწერა 1894 წლისათვის ოჩრ კვირეულ გამოცემათა ქართულს

„მწყემს"-ზე

რუსულ «ПАСТЫРЬ»-ზედ

მიზანი და დანიშნულება გაზეთისა: 1) შეატყობინოს სამღვდელო და საერო წოდებას ყველა განკარგულება და მოქმედება უმაღლესთა სასულიერო და საერო მართებლობათა, კონსისტორიათა და მღვდელ-მთავართა; 2) გაავრცელოს ქართველ სასულიერო წოდებაში და ხალხში სალიტერატურო სწავლა და ცოდნა საეკკლესიო და საზოგადოებრივი ცხოვრების კითხვათა შესახებ; 3) გაავრცელოს საქართველოს სამღვდელო და საერო წოდებაში სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივი კეთილ ზნეობისა და სარწმუნოებისა და 4) აუხსნას და განუმარტოს სამღვდელო და საეკკლესიო მოსამსახურე პირთა ზოგიერთი საეჭვო კითხვები, რომელთა ცოდნა მიუცილებელ საჭიროებას შეადგენს მათთვის მტკიცედ მათი მოვალეობის აღსრულებისათვის.

მიზანი და დანიშნულება რუსული გამოცემისა ზემოხსენებულის პროგრამმის აღსრულების გარდა არის—1) შეატყობინოს რუსეთის სასულიერო და საერო წოდებას შინაარსი შესანიშნავ და საინტერესო «მწყემს»-ში დაბეჭდილ სტატიებისა; 2) გააცნოს რუსეთის სასულიერო და საერო წოდებას საქართველო, ეს დამორებული კუთხე რუსეთის იმპერიისა და საქართველოს სასულიერო და საერო წოდება ქართული გამოცემის საშუალებით გააცნოს რუსეთის სასულიერო მწერლობას ⁂ ხალხის ცხოვრებას.

ფასი ჟურნალისა:

12 თვით «მწყემსი» 5 მ.	6 თვით «მწყემსი» 3 მ.
— ,, ორივე გამოცემა 6 »	— ,, ორივე გამოცემა 4 »
— ,, რუსული ,, 3 მ.	— ,, რუსული ,, 2 მ.

სოფლის მასწავლებელთ გაზეთები დაეთმობათ მთელის წლით სამ მანეთად.

რედაქციას აქვს კანტორები: **ქუთაისში** ხანანაშვილების სახლებში და **ყვირილაში** რედაქტორის საკუთარს სახლებში.

გაზეთზე ხელის-მოწერა შეიძლება როგორც **ყვირილაში**, აგრეთვე **ქუთაისშიაც**.

ზარეშე მცხოვრებთა ჟურნალის დაბარება შეუძლიათ ამ ადრესით: **Въ Квирилы, въ редакцію газеты и журнала „МЦКЕМСИ“ и «ПАСТЫРЬ».**

სახელმძღვანელონი,

დაწერილნი იაკობ გოგებაშვილის მიერ.

დედა-ენა, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, საერო და სამრევლო სკოლებში სახმარებელი, მეცხრე შევსებული გამოცემა, დაბეჭდილი წერა-კითხვის საზოგადოების მიერ. ამ გამოცემაში ჩართულია თავში სახატავი სურათები და ბოლოში საწერი დედანი, ასე, რომ ამ წიგნის მხმარებელთ აღარ მოუწ[illegible] სყიდვა არც სახატავებისა და არც დედნისა. ფასი ისევ ექვსი შაურია, ყდით ორი აბაზი. ეს წიგნი მოწონებულია და ქართულის ენის სახელმძღვანელოდ დანიშნული განათლების სამინისტროს მიერ და უწმიდესის სინოდისაგან... ვინც ერთად იყიდის ოც და ათს ან მეტს ცალსა, წიგნი დაეთმობა ხუთ შაურათ, ყდით 33 კაპ.

ბუნების კარი, ანუ საკითხავი წიგნი, უმცროსს კლასში სახმარებელი, მეშვიდე გამოცემა, შემკული სურათებით და საქართველოს ქარტით. დაბეჭდილია წერა-კითხვის საზოგადოების მიერ. ფასი ყდით ოთხი-აბაზ უზალთუნი (90 კაპ.). უყდოთ ეს გამოცემა არისყიდება. ვინც ერთად იყიდის ათს ცალსა, წიგნი დაეთმობა ოთხ აბაზად, ვინც ოცსა— თუთხმეტ შაურად და ვინც ოც-და-ათსა—თოთხმეტ შაურად. ეს წიგნიც მოწონებულია სამინისტროსაგან, როგორც „მშვენიერი სახელმძღვანელო ქართულის ენისა“ და აგრეთვე უწმიდესი სინოდისაგან.

კოკორი, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, სახლობაში სახმარებელი, გამოცემა მეშვიდე, ფასი ორი შაური; ნაღდათ 8 კაპეიკი.

კონა საყმაწვილო მოთხრობათა ბუნების მეცნიერებიდგან, მესამე გამოცემა, სურათებიანი, ფასი ათი შაური, ვინც ნაღდს ფულზედ იყიდის ათს ცალსა, ცხრა შაურად მიეცემა წიგნი, ვინც ოცსა, ორ აბაზათ. წიგნი მოწონებულია როგორც სამინისტროსაგან, ისე სინოდისაგანა.

ხომლი, ანუ რჩეულთა ლექსთა კრება მოზრდილ ყრმათათვის, მეორე გამოცემა, ფასი ექვსი შაური. მოწონებულია სამინისტროსა და სინოდისაგან.

კუნწულა, ანუ საყმაწვილო მოთხრობანი, ფასი ორი აბაზი. მოწონებულია როგორც სამინისტროსაგან, ისე სინოდისაგან.

იავნანამ რა ჰქმნა? მოთხრობა მოზრდილთ ყმაწვილებისათვის, ფასი ორი შაური.

ხატის მიზეზი? საყმაწვილო მოთხრობა, ფასი ერთი შაური.

ასპინძის ომი საყმაწვილო მოთხრობა მეფე ერეკლეს სურათით და ქარტით, ფასი ორი შაური.

ძირითადი უკუღმართობა, პუბლიცისტური წერილი დედა-ენის მნიშვნელობის შესახებ კერძო ადამიანის და მთელის ერის ცხოვრებასა და წარმატებაში, ფასი ერთი აბაზი...

РУССКОЕ СЛОВО, часть первая, изданіе четвертое цѣна тридцать копеекъ, въ переплетѣ 40 копеекъ.

РУССКОЕ СЛОВО, часть вторая, изданіе третье, цѣна 40 копеекъ. Въ переплетѣ 50 коп.

РУКОВОДСТВО для учащихъ къ преподаванію русскаго языка по „Русскому Слову“, цѣна 50 коп.

Обѣ части «Русскаго Слова» одобрены въ качествѣ учебнаго руководства по русскому языку для грузинскихъ школъ, а «Руководство для учащихъ» одобрено для библіотекъ низшихъ и среднихъ учебныхъ заведеній всего Кавказскаго учебнаго округа, и то и другое одобрено учебнымъ Начальствомъ, съ утвержденія Господина Главноначальствующаго. (Смотри „Сборникъ“ распоряженій по управленію Кавказскимъ Учебнымъ округомъ стран. 1965 и 1967).

Равнымъ образомъ одобрено и рекомендовано Русское Слово» духовнымъ учебнымъ Начальствомъ.

(15—5)

რედაქტორი და გამომცემელი დეკ. დ. ღამბაშიძე. *Доз. цензурою. Кутаисъ, 14 февраля 1894 г.*

Типографія редакціи (П. Д. Гамбашидзе) Въ Кутаисѣ, помѣщ. въ д. бр. Ханановыхъ на Нѣмецкой ул.